

ჭიჭიჭი



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-09-14/1772

30 07 2020.

ა. თბილისი

დისერტაციის დაცვის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების 26-ე მუხლის, სტუ-ის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებისა და ბიზნესის ადმინისტრირების, საჯარო მმართველობისა და მენეჯმენტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაინიშნოს დოქტორანტ გელა გოგიჩაიშვილის (პირადი ნომერი 01019073258) დისერტაციის დაცვა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, რომელიც 2017 წლის 2 მარტის №608/05 ბრძანებით ჩაირიცხა სადოქტორო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირებაზე“ და არა აქვს აკადემიური და ფინანსური დავალიანება. სადისერტაციო თემა: „ბიზნესის მენეჯმენტის ეფექტიანობის სრულყოფის მექანიზმები საქართველოში“. სამეცნიერო ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი ანზორ კურატაშვილი; რეცენზენტები: ასოცირებული პროფესორი თამარ როსტიაშვილი (სტუ), ასოცირებული პროფესორი კახაბერ ციმინტია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

2. დისერტაციის დაცვა შედგება 2020 წლის 3 აგვისტოს 15:00 საათზე სტუ-ის VI კორპუსის 704ა ოთახში.

რექტორი

დავით გურგენიძე